

12-14 ივნისს საბერძნეთის ქალაქ სალონიკში ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციისა და "ევროპის სტაბილურობის პაქტის" სალონიკის ოფისის მიერ ორგანიზებული იქნა სამდღიანი სემინარი, რომელიც ჩატარდა "ახალგაზრდობა სწორი მიმართულება" პროექტის ფარგლებში. როგორც წინა ანგარიშში გაცნობეთ, ეს არის 3 წლიანი პროექტი რომელშიც ჩაბმულია 11 ადს და მათ შორის ჩვენი ორგანიზაციაც. მოცემული პროექტის მიზანია გაიზარდოს ახალგაზრდული პროგრამების დანერგვა და ხილვადობა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა (ალბანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ხორვატია, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია, მონტენეგრო და სერბეთი) და კავკასიაში (საქართველო).

პროექტის საერთო მიზანია მისცეს ახალგაზრდებს საშუალება მიიღონ ცოდნა, აიმაღლონ უნარ-ჩვევები და შესაძლებლობები, ყურადღება ძირითადად გამახვილდება მულტიპლაიერების (ტოლი, თანასწორი) ტრენინგზე და ქსელური მუშაობისა და პარტნიორობის განვითარებაზე. პროექტი აერთიანებს თანამშრომლობის, ტრენინგის და ინფორმაციული ხასიათის ასპექტებს, შემდეგი სხვადასხვა სახის საქმიანობების განხორციელების მიზნით: საინფორმაციო ხასიათის სემინარები, სპეციალიზირებული საინფორმაციო ცენტრების შექმნა, ვებ-გვერდებისა და საინფორმაციო ფურცლის დამზადება, ახალგაზრდა ელჩთა ჯგუფების შექმნა, განმანათლებლის ტრენინგი, სამუშაოს მოძიება, ტრენინგი, რომლის თემაა ევროპის მოხალისეთა სერვისი, ახალგაზრდული ფორუმის მოწყობა სხვადასხვა ქვეყნებში და 4 სხვადასხვა სახის ქსელური ბაზის მოწყობა პროექტის თანამონაწილეებისთვის, რომლებიც მუშაობენ ახალგაზრდულ სფეროში სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში და საქართველოში.

15 წარმომადგენელს ბოსნია-ჰერცეგოვინიდან, ხორვატიიდან, საბერძნეთიდან, საქართველოდან, იტალიიდან და სერბეთიდან მიესალმა საბერძნეთის სპორტის მინისტრი, სტაბილურობის პაქტის სალონიკის ოფისის ხელმძღვანელი, ბ-ნი კარაკოსტანოღლუ. მონაწილეები გადამზადნენ შემდეგ საკითხებში: პროექტის მონახაზის გაკეთება, ახალგაზრდებისთვის საინფორმაციო ცენტრების მოწყობა, ქსელური მუშაობა და პროგრამა ახალგაზრდობა მოქმედებაში.

ქუთაისიდან მონაწილეობდნენ საკრებულოს წევრი ტარიელ მესხი, არასამთავრობო ორგანიზაციის "ახალგაზრდობა სამოქალაქო განვითარებისათვის" ხელმძღვანელი ირინა ტყეშელაშვილი და სააგენტოს აღმასრულებელი დირექტორი იოსებ ხახალაიშვილი. მინდა ავლნიშნო რომ სემინარი იყო მაღალ დონეზე ორგანიზებული (ისე როგორც ეს ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციაციას ჩვევია) და განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სემინარის არატრადიციული და საინტერესო ფორმატი და ფასილიტატორების პროფესიონალიზმი. პროექტის პირველი ნაბიჯი იქნება საინფორმაციო ცენტრის მოწყობა ახალგაზრდობისათვის, სადაც მათ შეეძლება მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია სტუდენტური გაცვლითი პროგრამების, საგრანტო პროგრამების, საძღვარგარეთ სწავლების გაგრძელების შესაძლებლობებისა თუ მრავალი სხვა საქმიანობისა თუ შესაძლებლობების შესახებ რომელსც ევროპის ინსტიტუტები ახორციელებენ ახალგაზრდობისათვის.